პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
## განკარგულება №
---დეკემბერი 2024 წელი

## ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩისთვის მირიან მეფის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩას მიენიჭოს მირიან მეფის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე



06-03243402503

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

LEPL STATE LANGUAGE DEPARTMENT

№ 00000595

05/12/2024

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,**
**ბატონ ლევან აბაშიძეს**

**ბატონო ლევან,**

2024 წლის 2 დეკემბერს თქვენგან მიღებული წერილის პასუხად (#03-032433737) გაცნობებთ, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების აღმნიშვნელ აზრებზე ***მეფე*** და ***დედოფალი*** მსაზღვრელ სიტყვებთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად, უნდა იყოს გამოყენებული ამგვარად:

| | |
|---|---|
| მირიან მეფის ქ. | King Miriani St. |
| თამარ მეფის ქ. | Queen Tamar St. |
| თამარ დედოფლის გამზ. | Queen Tamar Ave. |
| ქეთევან დედოფლის გამზ. | Queen Ketevan Ave. |
| მეფსალმუნე დავით მეფის ქ. | King David the Psalmist St. |
| მეფე სოლომონ ბრძენის ქ. | King Solomon the Wise St. |
| არჩილ მეფის ქ. | King Archil St. |

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საკრებულო

# დადგენილება № 129

29 სექტემბერი 2010 წ

ქ. თბილისი

## ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უსახელო ქუჩისათვის მეფე მირიანის სახელის მინიჭების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის $9^1$ მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

ა) ქ. თბილისში არსებული ქუჩების დაზუსტება მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეფე მირიანის სახელი (რუკა ერთვის).

ბ) ქ. თბილისის მერიამ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

## ქალაქ თბილისის საკრებულო

### დადგენილება № 53

„27" ივლისი 2012 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში მეფე მირიანის ქუჩის გაგრძელების შესახებ**

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა:

ა) ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის IV მკრ/რ-ნის 29-ე კორპუსის ტერიტორია გაგრძელდეს მეფე მირიანის სახელწოდებით, გიორგი გეხტმანის ქუჩამდე.

ბ) ქ. თბილისის მერიამ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

125908/17
01 08 12


ქ.თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი
სოფელი დიღომი
ქუჩა 97
0
175
350
700